პროფესიული განათლების სისტემის მართვა და მასში არსებული გამოწვევები

თინათინ იაშვილი
სტუ-ს პროფესორი

ნონა ღუდუშაური
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

პროფესიული განათლების განვითარება სახელმწიფოს ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად მიიჩნევა. ბოლო ათწლეულების განმავლობაში პროფესიული სასწავლებლებისადმი დამოკიდებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა.

პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით განხორციელებულმა ღონისძიებებმა საგრძნობლად გააუმჯობესა პროფესიული განათლების ხარისხი და ხელი შეუწყო პროფესიული განათლების მიმზიდველობას, შედეგად იგი უკვე აღქმულია, როგორც პიროვნული და კარიერული ზრდის მნიშვნელოვანი გზა და დასაქმების ხელისშემწყობი ფაქტორი. აღნიშნულზე მიუთითებს პროფესიული განათლების მიღების მსურველთა ყოველწლიურად მზარდი რაოდენობა.

აღსანიშნავია, რომ პროფესიული განათლების პოლიტიკის განმახორციე-ლებლებისთვის და პროფესიული განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმების დადებითი გავლენის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორი პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი და შრომის ბაზარზე მათი წარმატებული ინტეგრაციაა. პროფესიული განათლება არის უმოკლესი გზა დასაქმებისაკენ.

მოცემულ სტატიაში განხილულია პროფესიული განათლების სისტემის მართვასთან დაკავშირებული საკითხები.

საკვანძო სიტყვები: პროფესიული განათლება, გამოწვევები, სისტემა, მართვა, დასაქმება, რეფორმები.

ძირითადი ტექსტი

ქვეყანაში პროფესიული განათლების ფუნქციისა და ადგილის განსაზღვრა, პროფესიული განათლების სისტემის შექმნა, რომელიც დააკმაყოფილებს სწრაფად და მუდმივად ცვალებად შრომის ბაზრის მოთხოვნებს არეგულირებს საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“. აღნიშნული კანონი განსაზღვრავს პროფესიული განათლების სისტემის სამართლებრივ ჩარჩოს, ადგენს პროფესიული განათლების სისტემის მართვის პრინციპებს და პროფესიული განათლების სფეროში საქმიანობის განხორციელების სამართლებრივ საფუძვლებს, აწესრიგებს პროფესიული განათლების სფეროსთან დაკავშირებულ სხვა ძირითად საკითხებს. პროფესიული განათლების სფეროში საქართველოს კანონმდებლობა ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, საქართველოს კანონს „პროფესიული განათლების შესახებ“ და სხვა ნორმატიულ აქტებს.

„პროფესიული განათლების შესახებ“ ახალი კანონი ძალაში 2018 წლის 20 სექტემბერს შევიდა. აღნიშნული კანონით არსებითად შეიცვალა წინამორბედი კანონით მოსაწესრიგებელი საკითხები, შეიქმნა სამართლებრივი საფუძველი იმ გამოწვევების აღმოსაფხვრელად რაც სისტემაში არსებობდა. კანონის მიღებამ გზა გაუხსნა რეფორმების ახალ ტალღას, რომლის ფარგლებშიც უკვე დაიწყო მუშაობა ზრდასრულთა საჭიროებებზე მორგებული მომზადება-გადამზადების სისტემის განვითარების, პროფესიული განათლების ფარგლებში ზოგადი განათლების (საშუალო საფეხური) ინტეგრირების მიმართულებით. პროფესიული განათლება დაუკავშირდება უმაღლეს განათლებას ე.წ. „მოკლე ციკლის“ პროგრამების ფორმირების გზით; გაჩნდება პროფესიული განათლების საფეხურზე მიღებული კრედიტების უმაღლესი განათლების საფეხურზე აღიარების შესაძლებლობა; განისაზღვრება სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმები და სხვა. [1]

დღესდღეობით კოლეჯის მართვა ხორციელდება საჯაროობისა და გამჭვირვალობის პრინციპების საფუძველზე. კოლეჯის მართვის

ორგანოები, მათი არჩევის/დანიშვნის წესი, მათთვის წასაყენებელი მოთხოვნები, მათი უფლებამოსილებები და საქმიანობის წესი განისაზღვრება კოლეჯის წესდებით.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის ორგანოებია სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორი, ან რიგ შემთხვევებში მხოლოდ დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს დამფუძნებელი.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლების მოპოვების მიზნით, აპლიკანტები გადიან პროფესიულ ტესტირებას. პროფესიული ტესტირების ჩატარების მიზანია:

ა) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტის ჩარიცხვის პროცესის ობიექტურობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა;

ბ) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის მსურველთა უნარებისა და შესაძლებლობების შესაბამისობის დადგენა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის აუცილებელ უნარებთან. [2]

ტესტირების ჩატარებას სპეციალური კომპიუტერული პროგრამის გამოყენებით, უზრუნველყოფს სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი. ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტესტირებაში მონაწილეობის უფლება აქვს პირს, რომელსაც აქვს საქართველოში გაცემული საბაზო ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი, აკმაყოფილებს პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე პროფესიის სტანდარტით/პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით დადგენილ დაშვების წინაპირობებს, პროფესიულ ტესტირებაზე გასვლის მიზნებისათვის დარეგისტრირებულია ამ დებულებით დადგენილი წესით და სწავლის გაგრძელებას აპირებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე. იმ შემთხვევაში, თუ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების რაოდენობა მეტია იმ აპლიკანტთა რაოდენობაზე, ვინც აირჩია ეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, აპლიკანტი დაწესებულებაში ირიცხება შერჩევის საფუძველზე, რომელიც ტარდება დაწესებულების მიერ განსაზღვრული წესით. [3]

იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომლის სავალდებულო

პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, სწავლის უფლების მოპოვება ხდება მხოლოდ დაწესებულების მიერ ჩატარებული შესაბამისი კონკურსის საფუძველზე. ტესტირების კოორდინაციას ახორციელებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო. ცენტრი, ტესტირებიდან არაუგვიანეს 7 დღის ვადაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა განაწილების მიზნით ქმნის და ამტკიცებს აპლიკანტთა რეიტინგულ სიებს თითოეული დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით. დაწესებულების ხელმძღვანელი ჩასარიცხად საჭირო დოკუმენტების წარდგენიდან მინისტრის მიერ დადგენილ ვადაში ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით რიცხავს აპლიკანტებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე და აფორმებს ხელშეკრულებას აპლიკანტთან/კანონიერ წარმომადგენელთან/მხარდამჭერთან.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით, პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულება ითვალისწინებს ტესტირების ალტერნატიული წესით ჩატარებას. [4]

პროფესიული განათლების სისტემის მართვა ხორციელდება საჯაროობისა და გამჭვირვალობის პრინციპების საფუძველზე. პროფესიული განათლების სისტემის მართვას ახორციელებს საქართველოს მთავრობა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

ახალი კანონის დანერგვის პროცესში განხორციელებული რეფორმებით უკვე ჩატარდა მნიშვნელოვანი სამუშაოები იმ გამოწვევების აღმოსაფხვრელად, რაც სისტემაში ახალი კანონის ამოქმედებამდე არსებობდა. პროფესიულ განათლებაში საკანონმდებლო მასალისა და პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე გამოვკვეთოთ რამდენიმე გამოწვევა:

1. დღევანდელი კანონმდებლობით ჯერ-ჯერობით კიდევ არ რეგულირდება პროფესიული განათლების მასწავლებლის საქმიანობის

დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის წესი, პროფესიული განათლების მასწავლებლის სახეები; პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასების კრიტერიუმები და წესი; პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სხვა საკითხები. კანონით ასევე გათვალისწინებულია მასწავლებლის შრომის ანაზღაურების წესის განსაზღვრა, თუმცა ჯერჯერობით არ არის დარეგულირებული.

2. საქართველოში პროფესიული განათლების სისტემაში ინერგება დუალური სწავლების მეთოდი, ერთ-ერთ პრობლემას კი ბიზნეს სექტორის მოზიდვა და დაინტერესება წარმოადგენს, არ არსებობს არანაირი პლატფორმა, კანონმდებლობა, მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს ბიზნეს სექტორის, კოლეჯისა და სტუდენტის ურთიერთობას. ეს რეგულირდება შიდა/ინდივიდუალური ხელშეკრულებებით. კოლეჯს საკუთარი ძალისხმევის და პირადი კონტაქტების მეშვეობით უწევს ბიზნეს სექტორის მოზიდვა და დუალური მეთოდის განვითარება/დანერგვა.

3. კოლეჯი ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრავს მისაღებ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სსსმ და შშმ აპლიკანტთა ზღვრულ რაოდენობას. იმ შემთხვევაში თუ პროფესიულ პროგრამებზე დარეგისტრირებულ აპლიკანტთა რაოდენობა გადააჭარბებს დაწესებულების მიერ გამოყოფილ ადგილთა რაოდენობას, ჩარიცხვის დროს კომისიამ უნდა მხედველობაში მიიღოს აპლიკანტთა რეგისტრაციის დრო (თვე, რიცხვი, წუთი, წამი), რაც არათანაბარ პირობებში აყენებს სწავლის მსურველ პირებს.

დასკვნა

ქვეყნის გადასვლამ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საბაზრო მოდელზე მოითხოვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის სტრატეგიის ძირეული შეცვლა, მართვის ისეთი მექანიზმის დანერგვა, რომელიც ახალ იმპულსს მისცემს განათლების განვითარებას. განათლების სისტემაში სხვადასხვა ინოვაციური მმართველობითი ტექნოლოგიების დანერგვის თეორიისა და პრაქტიკის ყოველმხრივი შესწავლა დღეს მეტად მნიშვნელოვანი საკითხია. განათლების სფეროს, მათ შორის პროფესიული განათლების, მართვის შედეგი უნდა იყოს განათლების მაღალი ხარისხი და საზოგადოებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილება მცოდნე, კულტურულ, პროფესიონალურად მომზადებულ კადრებზე და ქვეყნის მოქალაქეებზე. აუცილებელია პროფესიული განათლების შინაარსისა და სტრუქტურის ისეთი მოდერნიზაცია, რომელიც შესაბამისობაში იქნება ინდუსტრიულ მოთხოვნებთან. ჯერ-ჯერობით პროფესიული განათლების სისტემა არასაკმარისად ორიენტირებულია შრომის ბაზარზე და მომავალ საჭიროებებზე. მისი განახლების ძირითადი ფაქტორები უკავშირდება ეკონომიკის, სოციალური სფეროების, მეცნიერების, ტექნიკის და ტექნოლოგიების განვითარებას. საჭიროა პროფესიული განათლების ოპტიმალური სისტემის შექმნა, რომელიც გაითვალისწინებს საერთაშორისო ტენდენციებს და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კადრების კუთხით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ - 2018 წლის 20 სექტემბერი.
2. განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგიის (2017-2021 წწ) პროფესიული განათლების 2019 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში.
3. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 აგვისტოს №170/ნ ბრძანება „საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესი და პირობები". 2019.
4. პროფესიული სასწავლებლით სტუდენტების კმაყოფილების კვლევა, (მომზადებულია ეისითის მიერ გაეროს განვითარების პროგრამის დაკვეთით).2015.

Management of the vocational education system and in it Existing challenges

Tinatin Iashvili, Professor
Georgian Technical University

Nona Gudushauri, PhD Student
Georgian Technical University

Summary

The development of vocational education is considered to be one of the main priorities of the state. Attitudes towards vocational schools have changed significantly in recent decades.

Measures taken in terms of access to vocational education have significantly improved the quality of vocational education and contributed to the attractiveness of vocational education, as a result of which it is already perceived as an important way of personal and career growth and a contributing factor to employment. This is indicated by the growing number of applicants for vocational education.

It is noteworthy that one of the important indicators for the implementation of the ongoing reforms in the vocational education policy and the reforms in the vocational education system is the employment rate of the graduates of vocational programs and their successful integration into the labor market. Vocational education is the shortest way to employment.

In this article is discussed the issues of Vocational Education System Management and Challenges in Vocational Education.

Keywords: Vocational education, challenges, system, management, employment, Reforms.